საქართველოს მთავრობის
დადგენილება

№ 479 2019 წლის 1 ოქტომბერი ქ. თბილისი

„სამსახურებრივი სარგებლობის პასპორტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №176 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამსახურებრივი სარგებლობის პასპორტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №176 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/04/2015, 010130000.10.003.018561) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. №1 დანართს („დიპლომატიური პასპორტის მიღების უფლების მქონე პირები“) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ[1]“ ქვეპუნქტი:

„ზ[1]) ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი და მისი მოადგილე;“.

2. №2 დანართს („სამსახურებრივი პასპორტის მიღების უფლების მქონე პირები“) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე[1]“ ქვეპუნქტი:

„ე[1]) ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის 10 (ათი) მოსამსახურე;“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**